

ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს

სხდომის ოქმი № 1

ქ.თელავი

24 იანვარი 2018 წ.

თავმჯდომარეობდა: ლ.ლილუაშვილი.

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: გიგა ორკოდაშვილი, ნანა ხვისტიანი, ზურაბ მუსაევი, ლევან კოჭლოშვილი, ლევან ოთიურიძე, ზურაბ ლილუაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, ბესიკ ქოჩიშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ;
2. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ;

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ;


აზრი გამოთქვეს: ნ. ხვისტიანმა აღნიშნა, რომ მიღებულია საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, აქედან გამომდინარე საკრებულომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების და აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები უნდა განსაზღვროს ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამისად.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ მიზანშეწონილია წარედგინოს ბიუროს წარმოდგენილი სახით;

მოსმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ;  
აზრი გამოთქვეს: ლ. ლილუაშვილმა მოუწოდა ფრაქციის წევრებს,  
რომ ვინაიდან 2018 წლის 10 იანვრს მიღებულ  
N01 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის  
2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
არ იქნა განხილული ფრაქციის მიერ, რადგან სტიქიიდან  
გამომდინარე დაჩქარებული წესით იქნა მიღებული,  
მორიგ ბიუროს სხდომაზე დააყენონ საკითხი  
ბიუჯეტის ჩამოთვლილი სახით განხილვის თაობაზე.  
ფრაქციის თავმჯდომარის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს  
ფრაქციის სხვა წევრებმა.

გადაწყვიტეს: ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობოს მორიგ ბიუროს სხდომას.

ფრაქციის თავმჯდომარე:



ლ. ლილუაშვილი